სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ზუგდიდის „ზუგდიდი“ - ქუთაისის „აია 3“		
გუნდი	ქუთაისის „აია 3“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	29/02/2024	მატჩის ადგილი	ზუგდიდი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ზუგდიდის „ზუგდიდი“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, გიგა სხილაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის დებულება - 8.3. თამაშის მასპინძელი კლუბი (გუნდი) ვალდებულია თამაშის დღეს უზრუნველყოს მატჩზე ექიმის დასწრება, რომელიც მოემსახურება ორივე გუნდს. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3 - 1.1 სრკ-ს მოქმედი რეგულაციების და/ან დებულებების დარღვევა;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	04/03/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ კი (დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	

განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

მატჩის მსაჯის, გიგა სხილაძის საითინგი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ზუგდიდის „ზუგდიდი“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მწვრთნელმა, ვახო კორკელიამ აღიარა მსაჯის საითინგში აღნიშნული ფაქტი. კერძონ მან განმარტა, რომ ფინასური მდგომარეობიდან გამომდინარე გუნდი მოკლებულია საშუალებას იყოლიოს დაქირავებული ექიმი და მათ შეძლებისდაგვარად უფასოდ ემსახურება მოხალისე ექიმი, რომელსაც ამ კონკრეტული თამაშის დროს არ ეცალა და ვერ მოახერხა თამაშზე მოსვლა. ვახო კორკელიამ აღიარა ის ფაქტი, რომ თამაშის ოქმში ექიმის გრაფაში მან ჩაწერა პიროვნება რომელიც არ იყო ექიმი. ვახო კორკელიას განცხადებით თამაშზე იმყოფებოდა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი, თუმცა ეს ფაქტი გააპროტესტეს მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლებმა.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის გიგა სხილაძის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „მატჩის პირველი ნახევრის მე-16 წუთზე ექიმის მესამეჯერ გამოძახების შემდეგ მოედანზე კვლავ არ გამოჩნდა ექიმი. მატჩის კომისარს ზუგდიდის მთავარმა მწვრთნელმა მატჩის დაწყებამდე ექიმის გრაფაში მიუთითა პიროვნების სახელი და გვარი რომელიც საბოლოოდ თამაშის მსვლელობისას აღმოჩნდა რომ ექიმი არ იყო რის გამოც უსაფრთხოების ზომები დაირღვა და თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა ამის შემდეგ შევწყვიტე თამაში“

კომისია მიიჩნევს რომ ზუგდიდის „ზუგდიდმა“ დაარღვია სრკ-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის დებულების 8.3 პუნქტი (**თამაშის მასპინძელი კლუბი (გუნდი) ვალდებულია თამაშის დღეს უზრუნველყოს მატჩზე ექიმის დასწრება, რომელიც მოემსახურება ორივე გუნდს.**) და დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას თამაშის შეწყვეტის შესახებ. თამაშზე ექიმის არ ყოფნა სერიოზული რისკის შემცველი გარემოებაა და საფრთხის ქვეშ აყენებს მოთამაშეთა უსაფრთხოებას.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

სხდომაზე წარმოდგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისიამ დაადგინა:

1. ზუგდიდის „ზუგდიდი“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდმა დაარღვია სრკ-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის დებულების 8.3 პუნქტი (**თამაშის მასპინძელი კლუბი (გუნდი) ვალდებულია თამაშის დღეს უზრუნველყოს მატჩზე ექიმის დასწრება, რომელიც მოემსახურება ორივე გუნდს.**).

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-ს 1.1 პუნქტის გ) ქვეპუნქტის მიხედვით მიიღო

გადაწყვეტილება

1. ზუგდიდის „ზუგდიდს“ ჩაეთვალოს წაგება;
2. ქუთაისის „აია 3“-ს ჩაეთვალოს მოგება, მიენიჭოს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და მატჩის ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	04/03/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]